წინ, საქართველოს სიჭაბუკევ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 77 (18319) | პარასკევი, 2 აპრილი, 1982 წელი | ფასი 3 კაპ.

დღეს თბილისში მუშაობას შეუდგება საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობა

მხურვალე კომუნისტური სალამი ყრილობის დელეგატებს!

ახლა, როგორც არასდროს...

შენ ატარებ ყველაზე
სამაყო ორდენს!
კიდევ ბევრი ჯილდო და
გამარჯვება გქონდეს!
ძნელი გზა გაქვს
გავლილი —
ბრძოლისა და შრომის!
პატივხარ, — მტკიცეს
რვალეკით, —
შენს ძნელაძე ბორისს!

მეცხრე ცაში დაფრინავ
ალისითა და ღამით!
გაქვს გმირობის
ტრამპლინად:
მარტენი და ბამი,
პესი, ფერმა, ქარხანა,
ჩაი, ყანა, ზვავი,
მერხი, ფუნჯი, კალამი,
ბურთი, მოედანი!..

გაქვს მამულით გამთბარი:
სისხლი! ხორცი! ძვალი!..
ხარ ყელამდე მართალი! —
ამირანის ძალის!
გიჭირს ავთანდილივით
გონება და თვალი!
სულითაც და გულითაც
გოლიათად გცანით!

შრომის ცეცხლით ინთები,
იმეორებ თითქოს —
წინაპართა დიდებას —
ასპინძას და დიდგორს!..
შეძლებ მტკიცედ
გაძლებას! —
არ დაუშვებ წამით! —
წინაპართა დაძლევას —
მარაბდას და კრწანისს!..

ახლა, როგორც არასდროს,
შენ სჭირდები მამულს! —
მის ოლიმპს და მარათონს!
მის სინდისს და ნამუსს!
გმირულ წარსულს უვლიდე
და ჰბაძავდე თანაც —
ცხრა ძმა ხერხეულიძეს
და არაგველს სამასს!..

შენ, მამულის სინედლევ,
ნერგო ყოველსშემძლევ,
ერი თავის იმედებს
დღეს ამყარებს შენზე! —
საქართველოს, თუ გინდა,
საქართველო ეწერვას, —
წინ იარე — ქუხილთან
და ელვასთან ერთად!..

ხალხის, ქვეყნის ტკივილი
მიიტანე გულთან!
უპატრონე შვილივით
ქართულ ენას უკვდავს!

აღმოჩენით დამუხტე
სიჭაბუკის ფამი!
დაბრკოლებებს ჩაუხტი,
თავს დამეხე ბანი!
სიახლეებს თამამად -
გაუხსენი გზანი!..
და წინსელისთვის
მოჰფინე —
გზანი იგი — მწვანით!

ბოროტება ამხილე
და მოუღე ბოლო!..
მამაცურად მახვილი
აღუბრალე ბოროტს!
ლონით ჰგავხარ მღელვარ
ზღვას!
ქუხხარ, სწავლობ,
შრომობ!..
შენთან მოდის ყველა გზა! —
შენთან, შენთან მხოლოდ!

გმირობასთან გარითმე
ეგ მარჯვენა — გამრჯე!
საქართველოს —
ხვალინდელ —
წარუმართე საჭე!
ძმობა სცანი მარადჟამ
არსებობის აზრად!
ედექ ერთგულ დარაჯად
მეგობრობის ტაძარს!

უფრო მძლავრად
ბრწყინავდეს
შენი ნათლის სვეტი!
მეტი, მეტი — სინათლე
და სიმაღლე — მეტი!..

იყოს მარად მზეგრძელი
შენი დროშის გაშლა!
ვაშა დიად შენს მერმისს!
შენს ყრილობას ვაშა!

ზაურ გოლეტვაძე.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXXII ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXXII ყრილობის დელეგატებს, რესპუბლიკის ყველა კომკავშირელს, ქალაშვილებსა და ბიჭუკებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს.

საქართველოს კომუნისტური პარტია ამაყობს რესპუბლიკის კომკავშირით, სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მებრძოლი რაზმით. საბრძოლოს უმაღლესმა ჯილდომ — ლენინის ორდენმა ღირსეულად დაგვირგვინა რესპუბლიკის ყველა კომკავშირული თაობის შრომითი და საბრძოლო მამაცობა, ახახა მათი დიდი წვლილი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების მშენებლობაში. რევოლუციური ბრძოლების ქარცეცხლში ზობილი ბოლშევიკი-ლენინელების მიერ გამოწრთობილი საქართველოს კომკავშირი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით ეკიდება ლენინის დიად საქმეს, დიდი ერთგულებით ემსახურება კომუნიზმის იდეალებს, მზად არის თავდადებით იშრომოს საბჭოთა საშობლოს ძლიერებისა და შემდგომი აყვავებისათვის, გმირულად დაიცვას იგი ყოველი ხელყოფისაგან.

რესპუბლიკის კომკავშირელები მუდამ პარტიის მხარდამხარ მიიბიჯებდნენ კომუნისტური მშენებლობის, სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპზე, ენთუზიაზმით წყვეტდნენ ყველაზე რთულ და დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, საქმით ადასტურებდნენ ეპოქებისა და თაობების ცოცხალ კავშირს, საბჭოთა ხალხის საუკეთესო რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით აღზრდილი ახალგაზრდობის ინტერნაციონალიზმს, მგზნებარე პატრიოტიზმს. ახლა საქართველოს რვაასი ათასიანზე მეტი რაზმი კმლავ განამტკიცებს, ავითარებს და ამრავლებს ამ შესანიშნავ ტრადიციებს. რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის მოსდგამს განუხრელი ძიება, ცოდნის წყურვილი, დიდი შრომისმოყვარეობა — ნიშნები, რომლებიც მკაფიოდ ვლინდება მის დღევანდელ საქმეებსა და მიღწევებში.

ლენინური კომკავშირის ძალა პარტიულ ხელმძღვანელობაშია. სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XVIII ყრილობის დელეგატებს რომ მიმართავდა, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ლენინური კომკავშირი პარტიის მებრძოლი თანაშემწე და საიმედო რეზერვია. პარტია გმობებთ თქვენ უდიდეს უტყუარ გამოცდილებას თქვენი კავშირის მთელი საქმიანობისათვის. და ეს ბუნებრივია. პარტიას და კომკავშირს ხომ ერთი მიზანი აქვთ — კომუნიზმი, და გზაც ერთი აქვთ.—ლენინური გზა, ხალხისათვის სამსახურის გზა“. კომუნისტები, მათი ცხოვრება და ბრძოლა, რევოლუციის იდეალებისადმი მათი ერთგულება შთამაგონებელი მაგალითი იყო და არის თითოეული ქალაშვილისა და ბიჭუკისათვის. ლენინური კომკავშირისათვის არა არის რა იმაზე დიდი პატივი, იმაზე წმიდათაწმიდა მოვალეობა, ვიდრე ყველგან და ყველფერში მიბაძვიდოდეს პარტიას.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ 10 წლის წინათ მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩამოყალიბებულ ამოცანათა თანმიმდევრული განხორციელების შედეგად მიღწეულია მნიშვნელოვანი ცვლილებები რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ამაში დიდი დამსახურება მოუძღვით აგრეთვე საქართველოს კომკავშირელებს, რომლებმაც გამოიჩინეს მაღალი პოლიტიკური სიმწიფე და სოციალური აქტიურობა, იდეური სიმტკიცე და ორგანიზაციული შეკავშირება და ღირსეულად ჩაებარეს კიდევ ერთი ისტორიული გამოცდა.

რესპუბლიკის ყველა მშრომელის, მისი ახალგაზრდობის მთავარი მიღწევა განვლილი ძნელი 10 წლის მანძილზე ის არის, რომ ყველგან სუფევს თვითკრიტიკისა და ურთიერთმომხოვნელობის სულისკვეთება, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, უფრო მაღალი მოკნების წარმატებით დაძლევის გზების შემოქმედებითი ძიების ატმოსფერო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კომკავშირის XXXII ყრილობა ჩაივლის ახალთაობის სულისკვეთებით, კომკავშირულ ორგანიზაციებს მკაფიო ორიენტირად დაუსახავს მეთვრამეტე ხუთწლედისა და მთელი ოთხმოცდაათი წლების ამოცანათა უფრო ეფექტიან გადაწყვეტას, შეაჯაგონებს ჩვენს ახალგაზრდობას ახალ წარმატებებს მიაღწიონ ნაწყალსა და შრომაში, ღირსეულად აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის მოახლოებული მე-60 წლისთავი.

რესპუბლიკის კომკავშირს საქმიანობის ფართო ასპარეზი აქვს. იგი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ საკითხთა გადაწყვეტაში. მრეწველობისა და მშენებლობების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ახალგაზრდა მუშაკები მოწოდებული არიან ნიადაგ ზარდონ წვლილი წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, უთართიანად ხარჯონ ნედლეული, მასალები და ენერგორესურსები, დროულად გადასცენ საეკსპლოატაციოდ ახალმოქმედებელი ობიექტები. სოფლის ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების ჩამოყალიბებაში, „განმტკიცებასა და განვითარებაში, დასახული სასოფლო-სამეურნეო პროგრამების წარმატებით განხორციელებაში.

კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა დღენიადაგ ზრუნავდეს უმაღლესი, პროფესიულ-ტექნიკური და სასკოლო განათლების განვითარებისა და სრულყოფისათვის, სტუდენტთა და მოსწავლეთა სპეციალური და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, მათი საქმიანობის ეფექტიანობისათვის. საჭიროა ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე აკიაკანთ ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური და მხატვრული შემოქმედება, ფიზკულტურა და სპორტი, სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კვლავაც მიზანმიმართულად უნდა განამტკიცონ ხალეფო კავშირი საბჭოთა არმიასთან და სამხედრო საზღვაო ფლოტთან.

კომკავშირი საბჭოთა პიონერების კოლექტიური ხელმძღვანელია. იგი უფრო ნაყოფიერად და ყოველმხრივ უნდა წყვეტდეს პიონერთა ცხოვრების საკითხებს, მრავალფეროვანს ხდიდეს მას საინტერესო წამოწყებებით, სასარგებლო საქმეებით, უნერგავდეს პიონერებსა და მოსწავლეებს ახალი თვისებებს, როგორიც არის პატიოსნება, ენერგია, გულკეთილობა, კოლექტივიზმის გრძნობა, გულმოდგინება, საკუთარი თავის სრულყოფისადმი სწრაფვა.

კომკავშირის წმიდათაწმიდა ვალია ხელი შეუწყოს პოლიტიკურად მოწიფული, საქმის მცოდნე ადამიანების, ახალი ადამიანების თაობის ჩამოყალიბებას, რომლებსაც ეყვარებათ შრომა და შეეძლებათ იმუშაონ, მუდამ მზად იქნებიან სამშობლოს დასაცავად. საჭიროა ახალგაზრდობის ჩაუნერგოთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ღრმა კომუნისტური მრწამსი, ხალხთა ლენინური მეგობრობისა და ძმობის იდეების ურყევი რწმენა. სახახელოოა, რომ რესპუბლიკის კომკავშირი ზედიზედ მეხუთედ ჯილდოვდება სრულიად საკავშირო ალაკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით „ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში წარმატებებისათვის“. ეს გვაფიქრებს ვამრავლოთ ძალისხმევა, კიდევ უფრო აქტიურად განვავითაროთ ქალაშვილებსა და ბიჭუკებს მაღალი ზნეობრივი თვისებები. ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს კომუნისტების, ნამდვილი მამულიშვილების, იმ ადამიანებად გმირული ცხოვრებისა და საქმიანობის მაგალითზე, რომლებიც განსახიერებენ კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლის მთელ ისტორიას და მაგიოდ არიან წარმოჩენილნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნაწარმოებებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი კომკავშირი, კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებლები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს მოიპოვებენ შრომასა და სწავლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): მესტიის რაიონის იფარის ხაბჭოთა მეურნეობის მწველავი ბ. ფანანი, მახარაძის რაიონის ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ბ. ანდღულაძე, კომკავშირის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი მ. ბაბუნია, „ხოსუმხელსაწყოს“ კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი, საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი რ. შენგელია, ფოთის სამედიცინო სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ერისთავი, ცხაკაიას რაიონის ნაქალაქევის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი თ. ლატარია, კახეთის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ბ. ფალავანდელიძე, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ტ. აფხაზავა, კომკავშირის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ინწკირველი, ჭოხელეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი მ. ანანიძე, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მექანიზატორ გოგონათა რგოლის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. თალაკვაძე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ციხარიძე და „ტყვარჩელშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ტაბიანი.

ვ. გენგიშური ფოტო.

ყრილობის წინ

შესამჩნევად გაახალგაზრდავდა ამ დღეებში საქართველოს დედაქალაქი. რესპუბლიკის ახალგაზრდობის დღესასწაული აქვს. სტარტზეა საქართველოს ორდენოსანი კომკავშირის XXXII ყრილობა. ტრადიციისამებრ უმაღლესი კომკავშირული ფორუმის გახსნის წინ მისი დელეგატები მოვიდნენ დედაქალაქის მთავარ მოედანზე. 1 აპრილს აქ ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომლის სახელსაც ატარებს საბჭოთა ახალგაზრდობის კომკავშირული ორგანიზაცია. ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელებმა, შუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს კომეონსტიური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ხსოვნას. გვიროგვინით ამკობენ ძეგლს ბელადისას, რომლის ბრძოლი ანდერძი განსაზღვრავს დამკვრელური კომკავშირული საქმეების მიმართულებას. ალისფერ ლენტს აწერია: „ვ. ი. ლენინს — საქართველოს ალკ XXXII ყრილობის დელეგატებისაგან“. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე ოქტომბრელების სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სლოვენიის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირისა და პარტიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის მხარის მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის დელეგაციებმა — საქართველოს კომკავშირის ყრილობის სტუმრებმა.

იმავე დღეს ყრილობის ათას ხუთასი დელეგატი ესტუმრა რესპუბლიკის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებს, სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს, შემოქმედებითის ორგანიზაციებს. „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოში და კამოლმაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“, სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საწარმოო გაერთიანება“ ელმავალმშენებელში“, ქალაქის ყველა საწარმოსა თუ დაწესებულებებში რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა წარგზავნილები მსჯელობდნენ თავიანთ თანამოლეგეთან ერთად ბიჭუკის მიერ დასახულ ხუთწლედის ამოცანათა გადაწყვეტაში კომკავშირის მონაწილეობის აქტიურ ახალგაზრდულ პრობლემებზე. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გამართული შეხვედრის წინ კინოთეატრებში „ოუსთაველსა“ და „ამირანში“ ყრილობის დელეგატებმა ნახეს ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ორი ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმი „საქართველოს კომკავშირი“ (რეჟისორი ი. ასათიანი) და „მე დავბრუნდები“ (რეჟისორი მ. თავაძე).

საღამოს კი თბილისის სპორტის სასახლეში თავი მოიყარეს სტუმრებმაც და მასპინძლებმაც დიდ სპორტულ დღესასწაულზე, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, სილამაზის დღესასწაულზე. სასახლის დირექტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ზიმბაშვილის მიერ დადგმულმა საინტერესო, ლამაზმა წარმოდგენამ დაგვირგვინა კომკავშირული ყრილობისწინა შთაბეჭდილებებით აღსავსე დღეები.

ყრილობისწინა დღეს გამართულ ღონისძიებებში, რომლებმაც ცხადყვეს ახალგაზრდობის ერთგულება დიდი ლენინის ანდერძის, პარტიისა და ხალხის საქმისადმი, მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარეს, მონაწილეობდნენ ამხანაგები ა. ბელაშვილი, გ. ენუქიძე, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, ს. ხაბეიშვილი, ბ. ადლეიბა, თ. მოსაშვილი, ი. ორკოხელიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. ბაკლოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ტუგანოვი, სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვ. კუბასოვი. (საინფორმ).

„წითელი შაბათობა“ გვიხსნობს

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საინფორმის კორესპონდენტები

● **ქუთაისი.** ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი მოსკოვის მოწოდებას საწარმოოა გაერთიანების მსგავსად 17 აპრილს მოაწყობს ლენინური შაბათობას. გაერთიანების სამეცნიერო საამქროს კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს 17 აპრილს დამკვრელურად იშრომონ და 18 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვან. ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 700 მანეთს. ამ დღეს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავებენ.

განახლებული საავეჯო საამქრო, რომელშიც დამონტაჟებულია თანამედროვე დაზგა-დანადგარები, შაბათობის დღეს მხოლოდ სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას დაამზადებს.

სულ შაბათობაზე გამოვა 340 მუშა-მოსამსახურე. უშუალოდ პროდუქციის შექმნაზე იმუშავებს 270 მუშა, დანარჩენები დაასუფთავებენ კომბინატის ტერიტორიას, წესრიგში მოიყვანენ დაზგა-დანადგარებს.

● **ფოთი.** ფოთელი მეზღვაურები ენერგიულად ემზადებიან შაბათობისათვის. 17 აპრილს თავიანთ სამუშაო ადგილებზე გამოვა ნაცადფურის ყველა მუშაკი, — უთხრა საინფორმის კორესპონდენტს ნავსადგურის ფლოტის უფროსმა ე. გურგენიძემ. — ახლა კი მეზღვაურები დასაქმებულნი არიან გემების, მათი ცალკეული კვანძებისა და მექანიზმების შეკეთებით, თანაც ყველა სამეშაოს ასრულებენ ტარასპორტის ეკსპლოატაციის შეუწყვეტლად. მეწინავეთა შორის არიან საზღვაო ბუქსირების „კაპიტან ბუკიას“, „კონსტანტინე რეკვავას“, „ლ კ-58“-ის და ბევრი სხვა გემის ეკიპაჟები, რომლებიც წარმატებით ეწევიან დამცველურ შრომითს ვაჭტს ზღვაში.

● **ცხინვალი.** ვ. ი. ლენინის დაბადების 112-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობისთვის ემზადებიან ცხინვალელი მეავეჯეები. ხე-ტყის კომბინატის საამქროებმა და ბრიგადებმა გადაწყვიტეს 17 აპრილს დამკვრელურად იშრომონ და 18 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვან. ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 700 მანეთს. ამ დღეს დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავებენ.

განახლებული საავეჯო საამქრო, რომელშიც დამონტაჟებულია თანამედროვე დაზგა-დანადგარები, შაბათობის დღეს მხოლოდ სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას დაამზადებს.

სულ შაბათობაზე გამოვა 340 მუშა-მოსამსახურე.

● **ბათუმი.** პარტიის აპარის სოლოქო კომიტეტში გაიმართა ლენინური შაბათობის მომზადების შტაბის სხდომა. ინფორმაციები გააკეთეს ავტომობილური ბაზის ბრიგადიერის ელაქიანების და რაიონიანი შაბათობათა შტაბების თავმჯდომარეებმა.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ნესტოლონოვამ აღნიშნა, რომ ბათუმელი მშრომელები შაბათობაზე გამოუშვებენ 500 ათასი მანეთის პროდუქციას და ხუთწლედის ფონდში ჩარიცხავენ 60 ათას მანეთს. ამ დღეს ბევრი სამრეწველო საწარმო საექსპლოატაციოდ გადასცემს ახალ უბნებს, დაამონტაჟებს მოწყობილობებს, გამოუშვებს ახალ პროდუქციას. შაბათობისთვის მზადების დღეებში საწარმოები იმუშავებენ დაზოგილი ელექტროენერგიითა და ნედლეულით.

შაბათობის შტაბის სხდომის მუშაობა შეაჯამა სოლოქო შტაბის თავმჯდომარემ, პარტიის სოლოქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ჩიგოგიძემ.

მცირე მექანიზაცია სასარგებლოა

ჩაის საკრებმა ხელის აპარატებმა, რომლებმაც საწარმოო გამოცდა გაიარეს საქართველოს სხვადასხვა სპეციალიზებულ მეურნეობაში, პლანტაციების მშრომელთა მოწონება დიმსახურეს. მათი სერიული წარმოება დაიწყეთ თბილისის „საქსოფლმანქანის“ ქარხანაში. მიმდინარე წელს მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და რესპუბლიკის სხვა სუბტროპიკული რაიონების მეურნეობები ოთხი ათასზე მეტ ასეთ აპარატს მიიღებენ.

მცირე მექანიზაციის სარეგლამენტის შესახებ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგემ, ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცხიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. შმაგაბაიამ საინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— მეჩაიეობა საქართველოს მიწათმოქმედების სწრაფად განვითარებადი დარგია. სკკპ XXVI ყრილობამ რესპუბლიკის მშრომელებს მიზნად დაუსახა ჩაის წარმოების გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება. იმისათვის, რომ შეავსრულოთ პლანტაციის პროდუქციის ზრდის დაგეგმილი ტემპი, მეურნეობებმა უნდა გაახორციელონ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც ეხება ნედლეულის წარმოების ინტენსიფიკაციას. ერთ-ერთი მთავარია დარგის მექანიზაცია, მაგრამ მთავარიანი რელიეფი ზელს უშლის იმას, რომ პლანტაციები მხოლოდ მობილური ტექნიკის დამარგებით დავამუშაოთ. ეი რატომ აირის, რომ მეჩაიეთა ყურადღებას დღეს ხელის აპარატები იპყრობს. ჩაის საკრეფ მანქანებთან შედარებით მათი უპირატესობა თვალსაჩინოა. საკმარისია ვთქვათ, რომ ხელის ტექნიკის გამოყენება ეფექტიანებს ჩაის მოვლა-მოყვანის ყველა მთის ფერდობებზე, დასერილ ადგილებში ხელის აპარატების მეორე მნიშვნელოვანი ღირსება ის არის, რომ უნარიანი ექსპლოატაციის დროს მათი საშუალებით პრაქტიკულად ისეთივე ხარისხის ნედლეულს ვკრეფთ, როგორც ხელით კრეფისას.

მეჩაიეთა დასახმარებლად ქართველმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს ჩაის ხელით სასხლავი აპარატიც. ისინი უკვე გამოიყენეს პლანტაციებში ზამთარ-გაზაფხულის სამუშაოების დროს.

ამ სეზონში დაგეგმილია დავამზადოთ 490 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დაახლოებით ასი ათას ტონა ფოთოლს მოკრეფენ ჩაის საკრეფი ხელის აპარატებით, ხოლო ხუთწლედის დამთავრებისთვის ეს ციფრი 250 ათას ტონამდე გაიზრდება.

როცა მელიორატორები „ფრიადზე“ მუშაობენ

თუ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამმთავარწყალმშენის „იორწყალმშენის“ ტრესტს სამმინისტროს „ბაკურიანის“ ტრესტის (მმართველი— მ. რჩეულიშვილი) უყავ მეორე წელია ზედიზედ ჯილდოდება სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს. და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ მოვლენას მიეძღვნა ტრესტის კოლეგიტიის მიტინგი. მიტინგზე გამოსულმა მოწინავე მუშაკებმა განაცხადეს, რომ ისინი ქალაქიც ეცდებიან შეინარჩუნონ სოციკეფილს წოდება დარგში, დაეხმარონ სოფლის მშრომელებს მიწების ნაყოფიერების გაზრდაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდაში.

(საინფორმ).

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲙᲐᲕᲚᲘ

ᲓᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗᲮᲔᲜ ᲧᲠᲘᲦᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲝᲗᲮᲘ წელი გავიდა საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის შემდეგ. დაძაბული შრომის, სნაგლის, დაბრკოლებათა დაძლევის, ახალი მიჯნების დაპყრობის, სასახელო გამარჯვებათა მოპოვების ოთხწლეული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე გამორჩეული და ღირსსახსოვარია ჩვენი რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიაში, ორგანიზაციისა, რომლის წევრებმა, იბრძოდნენ რა XXV ყრილობისა და საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, კომუნისტთა ყოველდღიური მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით მანამდე არნახული მიჯნები დალაშქრეს.

წინ კი ახალი სერიოზული ამოცანებია. ორიენტირებიც ახალია: XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები, XXII ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვათა დებულებები და დასკვნები. და კიდევ, ყველაზე მთავარი: სამშობლო, მშობელი ქვეყანა.

„სამშობლო, — თქვა ახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრაზე XXII ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, — სამშობლოსადმი სიყვარული ფასდაუდებელი განძია, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით რომ გადაეცემა".

ჭეშმარიტებაა. განა უწინარესად სწორედ რესპუბლიკის ყველა თაობის მრწამსისა და მოქმედების ერთიანობის, სამშობლოსადმი მათი უსაზღვრო სიყვარულის შედეგი არ არის საბჭოთა საქართველოს დღევანდელი თვალსაჩინო წარმატებები? და მით უფრო სასიხარულოა, რომ სწორედ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი შემდგომი აყვავებისათვის ყოველდღიური ზრუნვაა ჩვენი დღევანდელი სასახელო კომკავშირელებისა და ახალგაზრდების უპირველესი საფიქრალიც და უმთავრესი სამოქმედო ორიენტირიც.

სწორედ ეს აზრი გასდევდა ლაიტმოტივად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ნარმომადგენლების — ყრილობის დელეგატების ნაუბარს, რომლებსაც ვთხოვეთ მოკლეთ ეამბნათ, თუ რა ღირსშესანიშნავი მოვლენებით იყო საგანლისხმო ეს ოთხწლეული პირადად მათთვის და მათი მშობლიური კოლექტივებისათვის, როგორი წარმატებებით ეგებებიან ისინი ყრილობას და როგორია მათი სამომავლო ამოცანები.

ქვემოთ მოკლედ გთავაზობთ მათ ნაუბარს.

ᲕᲘᲪᲮᲝᲓᲔᲗ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲧᲐᲓᲠᲘ

ᲐᲚᲑᲐᲗ ახალი არაფერი იქნება ამაში, თუ ვიტყვი, რომ ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დღევანდელ პირობებში, როდესაც ყველა დროის ნაკლებობას უჩივის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის გონივრულად გამოყენებას, ყოველი წუთის რაციონალურად განაწილებას.

და ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრაზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან ერთი დიდი დამახსოვრდა ყველაზე მეტად: „ჩემს უმცროს მეგობრებს ვუსურვებ, — თქვა მან, — კარგად სცოდნოდეთ დროს ყადრი და თითოეული წუთისათვის მიენიჭებინოთ თავისი დანიშნულება და მიზანი".

ეს სიტყვები ამიტომაც მენიშნა, რომ პირადად მე მუდამ ვცდილობდი და ვცდილობ გავეფფთხილდე დროს, უკეთ გამოვიყენო ყოველი წუთი. ასე რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად ვერ მოვახერხებდი ერთმანეთისათვის შეეხამებინა საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, ორკონიკიძის რაიონის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ხელმძღვანელობა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობა და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ჩემთვის ამ ბოლო პერიოდში იყო საინტერესო საკითხზე მუშაობა გიორგი ხარაძესა და გიგი გურგენიშვილთან ერთად. ამ პრობლემებს საბჭოთა კავშირ-ფინეთის კოსმოსური სწავლობს. ჩვენ მიერ შექმნილი თეორია პრაქტიკულად ფინეთში უნდა შემოწმდეს და ამისათვის ორი თვით იქ ვარ მიწვეული. ასე რომ, მომავალში კიდევ უფრო დაძაბული სამუშაო მელის.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი რაიონის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარეობენ ესეც რომ არ იყოს, ისედაც კარგად ვხედავ ჩვენს დარგში არსებულ პრობლემებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ მეტი ზრუნვაა საჭირო ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის. საამისოდ მორალური თუ მატერიალური სტიმულირების ფორმების უფრო ეფექტიანად გამოყენებაა საჭირო. თუმცა ამ პრობლემას უფრო ღრმა ფესვებიც აქვს. ახედველოსნობა მაქვს სუსტი პროფესიონალიზმი ზოგჯერ სკოლაში, მერე უმაღლეს სასწავლებელში. ქართულ ენაზე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის უქონლობაც ყმაწვილებისათვის ბევრ რამეს გაუგებარს ხდის. მათ ნაფლად ვერ წარმოუდგენიათ, რა იზიდავთ, რომელ დარგს დაუკავშირონ თავიანთი მომავალი.

მე ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია დროის პრობლემა. ყველა საკითხი, რომლებსაც კი ვახსენებ, საბოლოო ანგარიშით, დროის პრობლემას უკავშირდება. აი კიდევ ერთი: ახალგაზრდა მეცნიერთა გამოგონების დანერგვა. ცნობილია, რომ პრაქტიკაში გამოგონების დანერგვა იოლი საქმე არ არის. მთა უმეტეს, როცა საქმე ახალგაზრდა მეცნიერის გამოგონებას ეხება. იმდენი სირთულეა, იმდენი ინსტანციის მოვლა სჭირდება გამოგონების დანერგვას, იმდენი ფორმალური მხარეა შესასრულებელი, რომ ახალგაზრდას ყოველგვარი სურვილი უქრება ფეორად კიდევ გამოგონოს რამე.

სცოდავენ საწარმოს ხელმძღვანელებიც. ისინი თავს იმით იმართლებენ, რომ საწარმოს სპეციფიკა არ ითვალისწინებსო ამგვარი სიახლის დანერგვას. მაგრამ ეს სუბიექტური განცხადება უფროა. სინამდვილეში, უბრალოდ, ზედმეტად თავის შეწუხება არ უნდათ ხოლმე. პირიქით კი უნდა ხდებოდეს. ყველა ხელმძღვანელი დაინტერესებული უნდა იყოს გამოგონებას დანერგავთ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ზომ თითოეულის ღვიძლი საქმეა.

მაგრამ, სამეფნეიროდ, ყველგან ასე არ არის. მაგალითად, ბევრ საწარმოში ახალგაზრდათა კომპლექსური, შემოქმედებითი კოლექტივებია შექმნილი, სადაც ითვითეფ ინერგება ახალგაზრდის გამოგონება. ამგვარი კოლექტივები საკმაოდ თვალსაჩინო ეფექტს იძლევა. ამის მაგალითად თუნდაც მარტო საწარმოო გაერთიანება „ელვას" და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის სამთო მექანიკის ინსტიტუტის კომპლექსური შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა გამოდგება. კარგი იქნება, თუ ამგვარი კოლექტივები სხვა საწარმოებშიც ჩამოყალიბდება...

ერთი სიტყვით, პრობლემები ბევრია, რომელთა გადასაჭრელად ახალგაზრდებს უფროსი კოლეგების საქმიანი, ქმედითი დახმარება გეჭირდება, დარწმუნებული ვარ, ამ საკითხებზეც საქმიანად იმსჯელებენ ყრილობის მონაწილენი. აქ მიღებული რეკომენდაციები კი ძალიან დაგვეხმარება შემდგომ მუშაობაში.

Ა. ᲚᲝᲜᲚᲐᲫᲔ,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ სულ უფრო ფართო მასშტაბით ჩაღდება ოჩამჩირის რაიონის კინდღოს მეფრინველეობის ფაბრიკაში სამშენებლო სამუშაოები. ახალი ფაბრიკის სიმძლავრე 8,3 მილიონი ბროილერია. მეფრინველეობის ამ გიგანტს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 75 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივი აშენებს.

წლეულს თითქმის ყველა უბანზე გაორკეცებული ენერგიით იღვწიან მშრომელები. საქმე ის არის, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ ფაბრიკის პირველი რიგი ვადაზე ერთი წლით ადრე — 1982 წლის ბოლოსთვის გადასცენ საექსპლოატაციოდ. ამ მეტად პასუხსაგებ და სერიოზული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის უფროსი ამხანაგების მხარდამხარ დიდი მონდომებითა და გულმოდგინებით იღვწიან კომკავშირელები და ახალგაზრდები, კონკრეტული საქმეებით იმსახურებენ ნდობას და პატივისცემას.

ამიტომაც არის, რომ მშენებლობის ადმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი და პროფკავშირის ადგილკომი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, ყოველმხრივ ეხმარებიან, მხარს უჭერენ მათ, თამამად ანდობენ ყველაზე პასუხსაგებ სამუშაოებსაც.

ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მოძრავ-მექანიზებული კოლონის ადმინისტრაციის, პარტბიუროსა და ადგილკომის დახმარებითა და ხელმძღვანელობით აქ შეიქმნა მშენებელთა 13-კაციანი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ზურაბ არშბა ხელმძღვანელობს. მეც ამ ბრიგადის წევრი ვარ.

ბევრი კარგი საქმე გაკეთია ჩვენმა ბრიგადამ. მისი წევრები მუდამ იქ არიან, სადაც საქმე მოითხოვს, მუყაითობითა და სიბეჯითით გამოირჩევიან. მათ მიერ შესრულებული სამონტაჟო სამუშაოები, როგორც წესი, უწუნო და საიმედოა. ამკამად მომავალი საფრინველეფის კონსტრუქციებს ვამონტაჟებთ. ფაბრიკის ვადაზე, ეროი წლით ადრე ამუშაველებისათვის გაწელილ შეჯიბრებაში დიდი ენთუზიაზმით შრომობენ ბრიგადის წევრები ე. კვიწინია, ზ. ბენიძე, დ. სოლომონია, გ. ამირბა, ვ. ნანავა და სხვები. ბრიგადა ყოველთვიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს. ვადაზე ადრე, 25 მარტისათვის წარმატებით გავანაღდეთ სამონტაჟო სამუშაოთა პირველი კვარტალის დავალება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ბრიგადის წევრთა მოწოდებითა და ინიციატივით მშენებლობაზე ფართოდ გაიშალა შეჯიბრება დეკემბერი „საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობას — 32 დამკვრელური კვირა!" ამ მოწოდებამ დიდი მხარდაჭერა პოვა მშენებლობის ყველა უბანზე, სადაც 200-ზე მეტი ახალგაზრდა შრომობს. მათ შორის 115 კომკავშირელი. მშენებლობაზე უბნების მიხედვით შექმნილია სამი პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, რომლისაც ზ. არშბა, ა. ვახანია და ზ. ბაბუშკინა ხელმძღვანელობენ.

მშენებელთა კომკავშირულმა ორგანიზაციამ, კომკავშირულებმა და ახალგაზრდებმა, საქართველოს ალკგ XXXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მზადების დღეებში ვალდებულება იკისრეს. ეს ნიშნავს, ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ამოცანის ადრეულ ვადაზე, ეროი წლით ადრე, ანუ ეროი ოთხ ნახევარ კვარტალში ამოქმედებას. ეს ნიშნავს, ეროი ოთხ ნახევარ კვარტალში ეროი ასეული ბინა ან ინდივიდუალური სახლი ეროი ასეული ოჯახისთვის ავაშენოთ, ეროი ასეული ოჯახი ახალ ბინებში ან ეროი ასეული ოჯახი ეროი ასეული ოჯახისთვის

უყაირათობა თუ დანაშაული?!

ანუ მიმწოდებლისა და დებიტორების ფინანსური შეუთანხმებლობის სავალალო მაგალითები

მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობა ერთობ მრავალდარგოვანია. აქ მოჰყავთ ბოსტნეული და ბაღჩეული, ხილი და მარცვლეული, განვითარებულია მეთაბაქოობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ! ერთი სიტყვით, მარნეულელებს ყველაფერი უხვად აქვთ. აქ სიხმატრესოა ისიც, რომ ბოლო ხანს რაიონის მრეწველობაც უკვე დიდ ადგილს იკავებს მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობაში.

ყოველივე ნათქვამის გამო, როგორც იტყვიან ხოლმე, მარნეული ფულ რაიონად ითვლება. ამ ფრაზაში კი ის იგულისხმება, რომ ამ რაიონის მართვა და ხელმძღვანელობა, სადაც ესოდენ განვითარებულია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ცოტა არ იოლს, ძნელი საქმეა, და რაიონის ხელმძღვანელებისაგან განსაკუთრებულ ფერადებასა და გარჯას მოითხოვს.

მარნეულის რაიონი ყოველთვის მოწინავეთა შორის არის და ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ აქ საქმე საერთოდ კარგად მიდის, მაგრამ საქმის ახლს თუ ღრმად ჩაეწვდებით, იმაში გამოჩნდება „აქილევსის ქუსლი", ანუ სუსტი მხარე, რომელის მოგვარებასაც დღესდღეობით ვერაფერი ეშველა. საქმე ის არის, რომ რაიონის ზევრი საწარმო ვერ ფარავენ 100-150 ათასი მანეთის ზზა პროდუქციას აწვდიან. ისინი კი მიმწოდებელ ორგანიზაციებს თანხის ჩარიცხვას უგვიანებენ ხოლმე და აქედან იწყება სწორედ უყაირათობა და უთავბოლოობა. სპბოლოდ რაიონი ზარალდება, ეკონომიკური პროცესები ირღვევა. საქმე რთულდება და საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომი და რაისამეჭოს აღმასკომი ეძლევი არიან რაიმე იღონონ, რადგან ეს საქმეები უკვე სიცილება მათი მოქმედებისა და გავლენის სფეროს. არადა, ამგვარი მაგალითები უარყოფითად მოქმედებს წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულებაზე, სახვალეო საქმის გაკეთებაზე და რაიონი მრავალ ძნელად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე დგება.

მიყვეთ საქმეს და თვითონ გვიჩვენებს, როგორ ჩნდება ეს სირთულეები.

მარნეულის რკინაბეტონის პირველი ქარხნის ნაკეთობანი ძირითადად სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სჭირდება. მარნეულელები ყოველთვიურად 100-150 ათასი მანეთის ზზა პროდუქციას აწვდიან ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სამშენებლო ორგანიზაციებს. წლეულადელი წლის პირველივე თვეების წარმოების გეგმები ქარხანამ შეასრულა, მაგრამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება საფრთხეშია. ამისი ძირითადი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს მარნეულის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის 200 ათასი მანეთი ვალი აქვს. ამით ქარხნის ფინანსური მდგომარეობა რთულდება. ხელფასების გაცემა რომ არ დაგვიანონ, იძულებული არიან ბანკიდან ისესხონ. მერე კი ამ ვალს დროულად ვერ ფარავენ და 2 პროცენტს ნაცვლად გადადებულ სესხზე 15 (7 პროცენტის ოდენობით) იხდიან. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ქარხნის რიტმულ მუშაობაზე.

თავის მხრივ ამ ქარხანას მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებისა 15 ათასი მანეთი მართებს; რით გადახიხდის ეს ვალი რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანამ? შეუწყვეტონ სამშენებლო ორგანიზაციებს თავიანთ ნაკეთობათა მიწოდება? ჯერ ერთი, რომ საერთო საქმისათვის ეს არ ივარგებს, მეორეც, რომ მოიწყინონ, ამას ვერ გაიკეთებენ, რადგან მათ მიერ დამზადებული პროდუქცია საწყობში არ დაეტევა, ქარხანა იძულებული იქნება გაჩერდეს. ისედაც, რომ არ შეფერხდნენ ხოლმე, ზოგჯერ იძულებული არიან რკინაბეტონის კონსტრუქციები ერთიმეორეზე დაყრიან. ამით იღუღვება ტექკონსტრუქციების შეხახვის ტექნოლოგია. ზოგჯერ ზიანდება ლეკვაც ეს კონსტრუქციები.

ჩვენ ვთქვით, რომ მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას რკინაბეტონის ქარხნიდან ეკუთვნის 15 ათასი მანეთი. მარტო ამ ქარხნიდან რომ ეკუთვნოდეთ, როგორმე მოითმენდნენ. ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში დებიტორების შარშანდელი და წლეგანდელი ვალი 900 ათას მანეთს აღწევს. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს მესამე სამშენებლო სამმართველომ მარნეულელ ავტოტრანსპორტელებს უნდა გადაუხადოს 42 ათასი მანეთი, ეარკეთილის „საკინსერეო გაერთიანებამ" — 20 ათასი მანეთი, ლმანისა და წალკის რაიონების დამზადების გაერთიანებებმა — შესაბამისად 13 და 17 ათასი მანეთი.

მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანება ამ დებიტორულ დავალიანებათა გამო თავად აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში. თანხების უქონლობის გამო ფულს ვერ უხდის მარნეულის ნავთობბაზას, ამიტომ აკლია საწვავი. ავტოტრანსპორტის სამინისტროს ტექნიკური! მომარაგების ბაზიდან ვერ გამოაქვს სათადარიგო ნაწილები. ამით, ცხადია, საერთო საქმე ფუჭდება. საფრთხეშია სახელმწიფო გეგმის შესრულება. მთელი სახალხო მეურნეობა ფეხრდება.

როგორც მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელებმა ჯვთხრეს, მინისტრმა ამბ. თ. დავითაშვილმა ისინი ბევრჯერ გააფრთხილა, ფულის ცუდად გადამხდელ დებიტორებს ნეღარ მოემსახურებითო. რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მინისტრის მითითების მარნეულელები ჯერჯერობით ვერ ასრულებენ, მაგრამ როგორც თავად ვეთხრეს, თუ ასე გაგრძელდა, იძულებული იქნებიან ეს მითითება განაზორციელონ.

მარნეულის სანტარიოულ-ტექნიკური ნაწარმის დამამზადებელი ქარხანა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეცხრე ტრესტს ეკუთვნის. ამდენად ქარხანა თავის ნაწარმის ძირითადად მეცხრე ტრესტისადმი დაქვემდებარებულ მოძრავ მექანიზებულ კოლონებს აწვდის. სწორედ ამ სამშენებლო ორგანიზაციებს მართებთ ქარხნის 830 ათასი მანეთი. ქარხანა თვითონ გაგზავნა დებიტორი, სესხს იღებს ბანკიდან, ქარხნის საწარმოო მიჩენებული მცირდება, ვერ სრულდება რეალიზაციის გეგმა. სანტარიოულ-ტექნიკური ნაწარმის დამამზადებელ ქარხანას ბანკის სესხი აქვს 450 ათასი მანეთი, აქედან 150 ათასი მანეთზე გადახდილ ვადა ამოწურა. ამიტომ ქარხანას 2 პროცენტის კი არა, 7 პროცენტი საურავის გადახდა მოუწევს.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა და დებიტორებისაგან თანხა ეკუთვნით მშენებლობის სამინისტროს მარნეულის სამშენებლო სამმართველოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დამხმარე საწარმოთა კომბინატი დებიტორებისაგან დღესაც ელის 550 ათას მანეთს.

საშენ მასალათა სამინისტროს მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული" რესპუბლიკის ყველა სამშენებლო ორგანიზაციის აწვდის ინერტულ მასალებს. ამ საწარმოს სახელთაგნი კოლექტივი ჰყავს. თითქმის დაარსებიდან გაერთიანებას ხელმძღვანელობენ „საქარამადნეული" მრავალჯერ გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, 41-ჯერ დარგობრივი საკავშირო დროშა დაიმსახურა, ხოლო სამჯერ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკ. ალკ. ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ როგორ უეცაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ამ სახელოვან კოლექტივს შრომა და საქმის ეეთება კი არ უჭირს, ეს სიძნელეები მთლიანად ფინანსურ ამბებთან არის დაკავშირებული. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ მშენებლობის სამინისტროს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, გზათა მშენებლობის სამინისტროს, მთაფალი დაქვემდებარებელ ორგანიზაციებს წლობით მართებთ „საქარამადნეულის" ვალი. დებიტორებს ვალი დღესდღეობით, არც მეტი, არც ნაკლები, 5 მილიონი მანეთია.

მშენებლობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს მილიონ-ნახევარი მანეთი ვალი აქვთ, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს — მილიონ 200 ათასი მანეთი, თბილისის საქალაქო საბჭოს „ინგმშენსადმი" დაქვემდებარებელ ორგანიზაციებს — 650 ათასი მანეთი.

